ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4778313

ნომერი: AR1720941

თარიღი : 28.11.2019

გაცემის თარიღი : 04.12.2019

გაცნობის თარიღი : 13.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა კლიმიაშვილი პ/ნ 01002002838
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 18 ბ. 125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის რომ სასმახურმა იმსჯელოს თქვენს მოთხოვნაზე, საჭიროა წარმოადგინოთ პირველი კლასის შენობის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად. რაც შეეხება სკამებს და მაგიდებს, წარმოადგენენ არასტაციონალურ ობიექტებს და არ საჭიროებენ წერილობითი დასტურის გაცემას.

ასევე გაცნობებთ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალური ინსპექციის მიერ მითითების გაცემით.

არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. გაითვალისწინეთ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.